ნარბი +

თბილისი. ქვიშხეთის ქ. კ-1. ბ-21
ტელ.: 995 32 61 59 49
მობ.: 995 99 50 59 49
tamazi.kvrivishv@mail.ru

NARBI +

Ap-t 21. K-1. Kvishkheti Str. Tbilisi. Georgia
Tel: 995 32 61 59 49
Mob: 995 99 50 59 49
tamazi.kvrivishv@mail.ru

ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისში, ნინუას ქ. №3-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა მისი ერთი ნაწილის დემონტაჟისას დანარჩენ შენობაზე ზეგავლენის თაობაზე მდგრადობის დასადგენად.

დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ნინუას ქ.№3-ში მდებარე შენობის, (საკადასტრო კოდი № 01.12.12.001.160), ტექნიკური მდგომარეობა მისი ერთი ნაწილის დემონტაჟისას დანარჩენ შენობაზე ზეგავლენის თაობაზე მდგრადობის დასადგენად.
გამოსაკვლევი საწარმოს შენობა შესდგება ორი სექციისაგან, ადმინისტრაციული



და საწარმოო, რომლებიც გამოყოფილია ერთმანეთისაგან ტემპერატორული და სეისმიური ნაკერით. გეგმაში თვითოეული მართხკუთხა მოხაზულობისაა, ორ

სართულიანია. აშენებულია 2015 წელს. ორივე შენობის მზიდ ჩონჩხს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, სვეტების ზომებით 400x400 მმ და რიგელები 400x500 მმ. მონოლითური რკინაბეტონის ფილით, სისქით 180—200 მმ. სამრეწველო საამქროები დახურულია ლითონის წამწეებით, მათზე სენდვიჩის პანელების ბურულის მოწყობით.

ვიზუალურმა დათვალიერებამ გვაჩვენა, რომ ძირითადად შენობის ორივე სექციის საძირკვლებში მოცემულ ეტაპზე ჯდენითი დეფორმაციები არ შეიმჩნევა, ამიტომ დაზიანებები მზიდ კარკასში არ შეიმჩნევა, დეფორმაციები და გამჭოლი ბზარები არ არის. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მოცემულ მისამართზე მდებარე შენობის ორივე სექციის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გამომდინარე იქიდან, რომ შენობის ორივე სექცია გამოყოფილია ერთმანეთისაგან ტემპერატორული და სეისმიური ნაკერებით, ამიტომ შენობის ადმინისტრაციული ნაწილის (სექციის) დემონტაჟი უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს მისი მეორე, სამრეწველო ნაწილის (სექციის) მდგრადობაზე. აღნიშნული სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების შემდეგ.

შ.პ.ს. “ნარბი+” დირექტორი
ინჟინერ-კონსტრუქტორი: ო. ქვრივიშვილი